

რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M2 კატეგორიის ტრანსპორტით (მიკროავტობუსები)
მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში ფინანსური ორგანიზაციების ჩართვის
პირობები

ტერმინთა განმარტებები

მს+ - შპს „მეტრო სერვისი“, საგადახდო მომსახურების პროვადერი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს გადახდების მიღებას.

გადახდის ოპერაცია - საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის საშუალებით მგზავრობის საფასურის გადახდის ტრანზაქცია, შესაბამისი ანგარიშსწორების ჩათვლით.

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიული აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

მიმღები - სატრანსპორტო ოპერატორი, რომლის მართვაში მყოფ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის დადგენილი მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციების დამუშავებას ახორციელებს სისტემის ოპერატორი სისტემის საშუალებით.

პლასტიკური ბარათი - სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული, საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული, უკონტაქტო სადებეტო ან საკრედიტო VISA და MASTERCARD ბარათები, რომლებსაც გააჩნიათ MIFARE CLASSIC 4BUID 1K ემულაცია.

სამუშაო დღე - დღე შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა;

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი M2 კატეგორიის ავტობუსები (მიკროავტობუსები).

სტოპ სია - სისტემის ოპერატორის მიერ შედგენილი/ფორმირებული იმ პლასტიკური ბარათების სია, რომელთა მეშვეობითაც დაუშვებელია გადახდის ოპერაციის შესრულება;

სამგზავრო ბარათი - კონკრეტული რეგიონისათვის დამზადებული ბარათი, რომელიც საშუალებითაც შესაძლებელია მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა.

დაინტერესებული პირი - პირი, რომელიც დაინტერესებულია გადახდის სისტემაში ჩართვაზე.

ჩართული პირი - იურიდიული პირი, რომელიც ჩართულია გადახდის სისტემაში.

ინიციალიზაცია - ბარათის მეხსიერების ველების ფორმატირება, ჩაწერის და წაკითხვის გასაღებების ჩაწერა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ბარათების თავსებადობას გადახდის სისტემასთან.

კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფორმისა (მათ შორის მატერიალური და ელექტრონული ფორმით), რომელიც წარმოადგენს მხარის და/ან მხარესთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირის ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ტექნიკური და ფინანსური მონაცემები, კომერციული პირობები, ანალიტიკური მასალები, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და ა.შ.), რაც არ არის საჯაროდ ცნობილი და რომლის გამჟღავნებამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მხარეს;

პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

Mifare ID - გადახდის საშუალების უნიკალური კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტული საბანკო პლასტიკური ბარათის იდენტიფიკაცია.

მომსახურება

ჩართული პირის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ოპერატორ კომპანიის მართვაში მყოფ M2 კატეგორიის მგზავრობა გადაყვანის საშუალებაში - მიკროავტობუსი;

მს+ უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის შესაბამის თანხის მიმღებთან ჩარიცხვას

დამზავებული გადახდის საშუალებები

ჩართული პირი უფლებამოსილია ისარგებლოს გადახდის ოპერაციით მის მიერ ემიტირებული იმ საბარათე ინსტრუმენტებით, რომლებიც ჩართულია **VISA, MasterCard**, საერთაშორისო საგადახდო სისტემაში და გააჩნია MIFARE CLASSIC 4BUID 1K ემულაცია.

ინიციალიზაცია - აღნიშნულ ბარათებში უნდა ჩაიწეროს მს+-ის მიერ, შესაბამისი გასაღები და სხვა პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ბარათების თავსებადობას გადახდის სისტემასთან.

გადახდის ოპერაციის შესრულება

გადახდის ოპერაციის შესრულება ხორციელდება სისტემის მონაწილის ემიტირებული მხოლოდ იმ საბარათე ინსტრუმენტებით:

- საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადა არ არის გასული;
- საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID -ის შესახებ ჩანაწერები/ინფორმაცია არ იქნება სტოპ სიაში.

გადახდის ოპერაციის დავალება შესრულება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნები. გადახდის ოპერაციის შესრულების დროს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრასა და მს+-ის ანგარიშზე ჩარიცხვას უზრუნველყოფს სისტემაში ჩართული პირი.

გადახდის ოპერაცია სრულდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტული სატარიფო ბადის შესაბამისად (გარდა შეღავათიანი კატეგორიის ქონე პირთა ტარიფებისა) , ამასთან თუ სატარიფო ბადით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის მგზავრობის საფასური ნულოვანი ტარიფით სარგებლობა ერთმანეთით მიყოლებით მგზავრობისას პირველი მგზავრობიდან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განმეორებითი მგზავრობისთვის ან/და მგზავრობის საფასური ნულოვანი ტარიფით, გადახდის ოპერაცია ნიშნავს პირველი მგზავრობის დროს განხორციელებული მგზავრობის საფასურის გადახდის დადასტურებას განმეორებითი მგზავრობისთვის ან/და საბარათე ინსტრუმენტით ნულოვანი ტარიფის დადასტურებას.

სტოპ სია

ჩართული პირი ვალდებულია პროგრამის მონაცემთა ბაზაში, მუდმივად მართოს სტოპ სია.

სტოპ სიის მართვა გულისხმობს სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID-ების შესახებ ინფორმაციის პროგრამის მონაცემთა ბაზაში დამახსოვრებას/შენახვას/განახლებას. სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID -ის შესახებ ინფორმაციის ჩაწერის შედეგად აღარ შესრუდება სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაცია იმ საბარათე ინსტრუმენტით, რომელიც სტოპ სიაშია მანამ, სანამ საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID -ის შესახებ ინფორმაცია არ იქნება სტოპ სიიდან ამოღებული.

გადახდის სისტემაში არსებულ მოწყობილობებს გააჩნია ტექნიკური შეზღუდვა 20 000 (ოციათასი) ჩანაწერზე. შესაბამისად არ ხდება გარანტირებულად სტოპ სიაში ჩასმული ბარათების განახლება მოწყობილობაში. შესაბამისად, მთლიანი სტოპ სიიდან ხდება ტოპ 200000 ბარათის შერჩევა **აქტიურ სტოპ სიაში**. ბოლოს ჩასმული ბარათების პრიორიტეტის პრინციპით. ანუ ბოლოს ჩასმული ბარათები პირველი ხდება **აქტიურ სტოპ სიაში**. ამასთან აქტიური სტოპ სიიდან ამოვარდნილი ბარათის გადახდის მოწყობილობაზე დაფიქსირებისას ის კვლავ ვარდება **აქტიურ სტოპ სიაში**.

ჩართული პირობა უფლებამოსილია სტოპ სიაში იქონიოს ჯამურად 1 000 000 (ერთი მილიონი) ერთეული საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID -ის შესახებ ჩანაწერი, ხოლო 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში სტოპ სიაში დაამატოს ან/და ამოიღოს საბარათე ინსტრუმენტის Mifare ID -ის შესახებ ჩანაწერი არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ერთეულის ოდენობით;

სისტემის შეზღუდვებიდან გამომდინარე **აქტიური სტოპ სიიდან**, ამოვარდნილი ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე პასუხისმგებლობა მს+-ს არ გააჩნია.

ანგარიშწორება

ჩართული პირი უზრუნველყოფს ყოველი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის მგზავრობის საფასურის ჩამოჭრას ანგარიშსწორების ანგარიშიდან და მს+-ის ანგარიშზე ჩარიცხვას, არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო კალენდარული დღის მეორე კალენდარულ დღისა.

მს+ უზრუნველყოფს კალენდარული დღის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის ჩამოჭრილი მგზავრობის საფასურის თანხის მიმღებთან ჩარიცხვას.

ჩართვის კრიტერიუმი

ჩართული პირი შეიძლება იყოს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი

სარგებლობის საფასური

პრეტენდენტის სისტემაში პირველადი ჩართვის საფასური, შეადგენს 30,000 (ოცდაათათას) ლარს.

ინიციალიზაციის საფასური შეადგენს თითოეულ ბარათზე 0.5 (ნოლი მთელ ხუთ მეათედ) ლარს.

გადახდის სისტემით სარგებლობის ყოველთვიური მომსახურების საფასური, რომელიც განისაზღვრება შესრულებული ტრანზაქციების ოდენობის მიხედვით და ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ქალაქი	თვის ქრილში ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით ყოველთვიური გადასახადი (ლ)						
	<1,000	1,001-8,000	8,001-10,000	10,001-30,000	30,001-50,000	50,001-100,000	100,001<
რუსთავი-თბილისი	1,000	2,500	20,000	35,000	40,000	45,000	50,000

სისტემით სარგებლობის, ინიციალიზაციის და სისტემაში ჩართვის საფასური მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდელებს/მოსაკრებლებს და გადასახადებს.